

ქართული გვარსახელები (ზემო აჭარის რამდენიმე სოფლის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით)

სოფელ დიდაჭარასა და ხიხანის ხეობის სოფლებში მცხოვრები გვარების¹ კვლევისას დგინდება, რომ თურქების მცდელობისა და შემდეგ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მეფის რუსეთის მიერ გატარებული „რეფორმის“² მიუხედავად ისტორიულმა გვარსახელმა ფუნქცია სრულად შეინარჩუნა.

გვარის ეთნოისტორიული კვლევა რამდენიმე კუთხითაა საინტერესო; ირკვევა: ა) აჭარაში ქალის გვარის წარმოების საერთოქართველური წესი; ბ) გათხოვილი ქალის მამის სახლთან მიმართების საკითხი.

გობაძე (< საკუთარი სახელიდან **გობა**) **ჩელებაძეებისა** („დიდი დედეს დედე — ჩელება ვაჭარი, განთქმული და გავლენიანი კაცი იყო“) და **ხიმშიაშვილებისათვის** დაურქმევიათ რუსებს. ნაწილი გობაძეებისა დღეს უკვე დაეწერა საკუთარი „ჯიშის“ გვარზე და **ხიმშიაშვილია**, სხვებიც ეძებენ თავის ძირგვარებს. **ემრულოღლი³/ემრულათი** (ემრულას შვილებს ნიშნავს), მათი განაყოფი **რეჭებუსტიენთი**, **არაბიენთი** (მომდინარეობს საკუთარი სახელიდან **არაბა**), **ქიტიაშვილი** (ხიმშიაშვილის განაყოფი)/**ქიტოღლი** და **ჭაითიენთი** - ყველანი გობაძეები არიან. ირკვევა, რომ **ქიტია** საქართველოს დანარჩენი თემების მსგავსად აჭარაშიც გავრცელებული სახელია (ალ. ლლონტი, 1984, გვ. 572; 1986, გვ. 208).

ჩელებაძე — გვარი მკვიდრობს ქობულეთის რაიონში (ი. მაისურაძე, 1990, გვ. 232). გ. ბოჭორიძის მონაცემებით, ადიგენის რაიონის სოფელ კიკიბოს 11 კომლიდან 3 **იაკობაძეა**, 3 კომლი **ირემაძე**, 5 კომლი კი **გობაძე**: „ყველანი აჭარიდან არიან გადმოსულნი და ლაპარაკობენ ქართულად“ (გ. ბოჭორიძე, 1992, გვ. 137). გობაძეები დასავლეთ საქართველოშიც, სოფელ საქარას მკვიდრობდნენ (მ. კეზევაძე, 2004, გვ. 62, 82, 106, 102).

მელაძეები დიდაჭარაში ალმედან (თურქობისდროინდელი სახელია. კომუნისტების დროს ერქვა **ოქტომბერი**. დღეს **ვაშლოვანი** ჰქვია) არიან მოსული. „**ქიტიენთ** (გობაძე) ოჯახს მოუყვანია ზედსიძედ ალმელი ახალგაზრდა და ორი საუკუნის მანძილზე გამრავლებულა. მელაძეები არიან **კეჟერაანთი/კეჟეროღლი** (კეჟერა მაგარი ხალხი ყოფილან)“. კეჟერა სხვადასხვა დიალექტში „მეტად მაგარის“ მნიშვნელობით გამოიყენება (ალ. ლლონტი, 1984, გვ. 281).

¹ მასალები ჩავიწერეთ 2009 წელს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ეთნოგრაფიული პრაქტიკის დროს ხულოს რაიონის სხვადასხვა სოფლებში.

² XIX საუკუნის II ნახევრიდან რუსებმა სხვადასხვა უბნებში განსახლებულ სხვადასხვა გვარებს ერთი რომელიღაც ნიშნით გამორჩეული, მათ მიერვე არჩეული ქართული გვარი მისცეს.

³ -ანთი, -იენთი, -ათი, -იანი... სუფიქსების ნაცვლად არცთუ იშვიათად გამოიყენება თურქული -ოღლი.

ყველაზე ადრინდელი ცნობა, რომელშიც დასახელებულია იმერეთის სოფელ მათხოჯში მცხოვრები **მელაძის** გვარი, თარიღდება 1448-1512 წლებით (პალ, 2004, გვ. 141). გვარი გავრცელებულია ქართლსა და სამეგრელოშიც.

ხოზრევანიძეები (<**ხოზრევანი**) „დაპირისპირების გამო გადმოსახლებულან ქობულეთიდან დიდაჭარაში. გვარის გამაერთიანებელი სახელია **იორდანეთი, ხაზრიენთი, საწიშარანთი, ყარსლიენთი/ყარსლიოღლი** (ყარსიდან მოსულობის გამო), **გულოშვილები** ყველანი ხოზრევანიძეები არიან“.

ხოზრევანიძეები მკვიდრობენ ხულოს რაიონის სოფელ ხიხაძირში, ისტორიული ზემო ქართლის თემ სამცხეში. 5 კომლი ფიქსირდება სამეგრელოშიც, სოფელ ძველ ხიბულაში (პ. ცხადაია, 2000, გვ. 168; ი. მაისურაძე, 1990, გვ. 198).

ბოლქვაძე ეპონიმური გვარია. მომდინარეობს საკუთარი სახელიდან **ბოლქვა** - ბოლქვის მსგავსი ადამიანი (გ. ბედოშვილი, 1991, გვ. 9). „დაახლოებით 300 წლის წინ მოსულა ჩილ მემედი თხილვანაში ხულოდან. ჩილ მემედთან ერთად წამოსულა მეორეც და საციხურში (სოფელი ხულოს რაიონში) დასახლებულა. **ყაეოღლი** (ჩილ მემედის შვილის ყაეს შვილები); **ბუძკიოღლი** (ბუძკის, დაბალი კაცის შვილი); **ქექეჩოღლი** (ენამოთლეფილი წინაპრის შვილი) — ყველანი ბოლქვაძეები არიან. **ფაჩოღლიენთი, ჩვენებიენთი, კვეტარანთი** და **ყარანმედანთი** (შავი ანმედას შვილები) დიდაჭარაში **ხუციაშვილების** უბნის მკვიდრი ბოლქვაძეები არიან. ბოლქვაძეები ყოფილან **ყადიოღლებიც**“. შდრ.: „ამ ეკლესიის (საუბარია ხულოს ეკლესიაზე - დ.შ.) მღვდლებად ჩვენი გვარის კაცები იყვნენო, ბოლქვაძეები. რომ გათათრება დაუწყეს, მაშინ ჩვენი ძველებიც გათათრეს; გათათრებულს მღვდელს ბოლქვაძეს ყადობა მისცეს და ამიტომ გვეწოდა ჩვენ ყადიოღლი...“ (ზ. ჭიჭინაძე, გვ. 66).

ბოლქვაძეთა გვარის ეთნოისტორიული კვლევის საფუძველზე დასტურდება დიდი, გაუყოფელი ოჯახების არსებობის ტრადიცია: „ჩვენ ჯიშს, მოდგმას **ჯალაბოღლი** ჰქვია. **ჯალობა** ოჯახობას ნიშნავს. გაუყოფელი ოჯახი ჰქონდათ და ამიტომ დაურქმევიათ **ჯალაბოღლი**“; დასტურდება სისხლის შერევის კუთხური ნიშნით გამორჩეული საერთოქართველური წესი: „თუ მემკვიდრე, გვარის გამგრძელებელი არ ჰყავდა, მაშინ მოიყვანდნენ გათხოვილი შვილის შვილს (ბადიშს). გაყოფისას ჩვეულებრივი წილი მიეცემოდა“.

ბოლქვაძეთა გვარი დასტურდება XVII ს. დამდეგიდან. 1601-1627 წლების საბუთებში მოხსენიებულია ჩეხედანას მცხოვრები, მამია გურიელის მიერ ჩეხედანას ტაძრისადმი შეწირული გიორგი, კაკაი, ლომკაცა, ჟოჟონა, ჭუჭუა ბოლქვაძეები (პალ, 1991, გვ. 553-554). შდრ.: გურული ბოლქვაძეების გადმოცემით: „ჩვენ დიდაჭარელ წინაპრებს **ყარანმედოღლებს** ეძახიან და **ბოლქვაძეებს** იწერებიან“. ძველი გვარების შესაბამისად აღიდგენენ. სამეგრელოსა და იმერეთის ბოლქვაძეები, ვფიქრობთ, აჭარიდან არიან მიგრირებულნი. XIX საუკუნის 40-იანი წლების აღწერის მასალების მიხედვით, ბოლქვაძეები იმერელი ნეფარიშვილის შინამოსამსახურეები იყვნენ; საბატონო გლეხები იყვნენ საჯავახოში, სახელმწიფო გლეხები ყუმურში, ღანირში კი სათავადო აზნაურები (მ. კეზევაძე, 2004, გვ. 62, 82, 106, 102); ბოლქვაძე მკვიდრობდა ადიგენის რაიონის სოფელ ლელოვანში (გ. ბოჭორიძე, 1992, გვ. 79).

შავაძე დიდაჭარის მკვიდრი **გვარია**. გვხვდება ხულოში და ხულოს რაიონის სოფლებში: დიდაჭარასა და აგარაში (ი. სიხარულიძე, 1958, გვ. 40, 114, 119). მოსულობაზე გადმოცემა არა აქვთ. “შავაძეების გამაერთიანებელი სახელია **შუანთები** (სოფლის შუა ადგილას მცხოვრებლობის გამო). შუანთებიდან გავიდა **თოფალანთი** (კოჭლი ალას შვილები). შავაძეები არიან: **ქურჩუგალა** — პატარა ალას შვილები, **ზემუანთები** (თოფალანთის ზემოთ მცხოვრებნი), **ბეჭირანთი** (სახელიდან მომდინარე ჯიში, შტო), **ჭოჭიოღლები** (ჭოჭე — სველი. სველი ადგილის მკვიდრები), **გუდუგანთები/გუდუგოღლი** (თურქულად „უცხვიროს“ ნიშნავს). შავაძეების გვარს ატარებენ: **პაწაშუანთი, ჯოვრიენთი, ფითნანთი, ლაკოლიენთი, ისლამანთი, ბეჭირანთი, ეფენდიენთი**. ეფენდიენთები დღეს **შერვაშიძისა და შარაშიძის** გვარსაც ატარებენ”.

შავაძეების ხულოს რაიონში მკვიდრობის დამადასტურებელია ანთროპოტოპონიმი **შავაძეები**.

გვარი **შავაძე** მოხსენიებულია მოწმედ 1766 წლის 19 ივნისის ნასყიდობის წიგნში გიორგი წერეთლისა ზალიკა აბდუშელიშვილისადმი (დოკუმენტები, 1959, გვ. 109); შავაძეები მკვიდრობენ თელავის რაიონში (ი. მაისურაძე, 1990, გვ. 187). აგრეთვე, ცხოვრობენ სამეგრელოში, სოფელ კეთილარში. იმერეთის სოფელ კორბოულის მკვიდრი შავაძეები საბატონო გლეხები იყვნენ (მ. კეზევაძე, 2004, გვ. 48).

შავაძეების გვარის ეთნოისტორიული კვლევისას რამდენიმე საინტერესო საკითხი იკვეთება: ა) ხარაგაულის რაიონის სოფელ საქარიქედის მკვიდრი შავაძეების ადრინდელი საცხოვრისი ზემო აჭარა ყოფილა: „სოციალური დაპირისპირების ნიადაგზე ხულოდან გამოქცეული წინაპრის სამი ვაჟი დასახლებულა იმერეთის სოფლებში: ილემში, საქარიქედსა და ლაშეს“. ბ) საისტორიო საბუთებში პირველად 1260 წელს მოხსენიებული აბესაძეების გვარის სამკვიდრო ხულოც ყოფილა³: „შავიძის წინაპარი ხულოდან გამოქცეულა აბესაძესთან დაპირისპირების საფუძველზე, მისი მოკვლის გამო“; გ) დასტურდება ხეთა თაყვანისცემის, ღვთაების ხის სახით წარმოდგენის ტრადიცია: „სოფელ საქარიქედში არის განცალკევებით მდგომი რცხილის ხე. შავიძეებს ამჟამად ამ ხესთან დაბრძანებული ჰყავთ წმინდა გიორგის ხატი, თუმცა ღვთისმშობლობას აღნიშნავენ”.

შევნიშნავთ იმასაც, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მკვიდრი, საკუთარი სახელიდან **შავა** (ალ. ლლონტი, 1986, გვ. 217) ნაწარმოები გვარი **შავაძე** დამოუკიდებლად წარმოქმნილი შეიძლება იყოს.

„ხულოს ყველა სოფელში იტყვიან **შავავრი, ბოძავრულა**... დედაჩემი იყო შავაძე და მისი გვარი იხსენიებოდა შავავრად. შავავრიაო იტყოდნენ; ჩემი მეზობლის ქალი სოფელ ბოძაურიდან (ხულოს რაიონი) არის გამოთხოვილი და ეძახიან ბოძავრულა“.

სოლომონიძე ეპონიმიური გვარია. „დიაკონიძეებიდან⁴ განსახლებულან: გუდასახოში, ოქრუაშვილებში, მეხვათოღლებში. ჩვენი ძველი წინაპარი დიაკონიძეებში ჩამოსულა ხერთვისიდან ძმობის გაყოფის შემდეგ. ხერთვისშიც სოლომონიძეები ვიყავით. ვართ **თოფალოღლები**. აჭარიდან წასულან

³ შდრ.: ქვემო მაჭახელში დადასტურებულია გეოგრაფიული სახელი აბესლამიძეები (ი. სიხარულიძე, 1958, გვ. 130).

⁴ დიაკვანი ყოფილა აქ და ამიტომ დაერქვა დიაკონიძეები.

სოლომონიძეები ხელვაჩაურში (მიწები უყიდიათ)". მკვიდრობენ სამეგრელოში (პ. ცხადაია, 2000, გვ. 128). ყველაზე ადრინდელი ცნობა, რომელშიც მოხსენიებულია იმერეთის მკვიდრი გვარი სოლომონიძე, თარიღდება 1576 წლით (პალ, 1991, გვ. 189). ვფიქრობთ, რომ გვარის იმერეთში მკვიდრობის მიზეზიც მიგრაციაა. იგივე შეიძლება ვთქვათ სოლომონიძეთა გვარის რაჭის მკვიდრობაზე.

გვარსახელი გვხვდება სოფელ მურღულშიც. ზემო ქურაში ჩაწერილი მასალა: „— შენ რა გუარი გაქუა?

— თოფალოლები მამისიანი ყოფილან“ (შ. ფუტყარაძე, 1993, გვ. 297).

სოლომონიძეთა გვარის ეთნოისტორიული კვლევისას ვგებულობთ ბეშუმის⁵, რამდენიმე გვარის მიერ „სამკვიდრო მამულებად“ დაყოფისა და აჭარელთა საცხოვრისის ტიპის შესახებ: „ერთი ბეგიდან ნაყიდი აქვს შვიდ კაცს ხულოს რაიონიდან: **სოლომიძეს, ანანიძეს, შავაძეს, თავართქილაძეს, ბოლქვაძეს, აბაშიძეს**; რომ „საზაფხულოდ აქ ამოსული ძველი ცხოვრობდა ჭერებიან (მრგვალ ხეს „ჭერი“ ქვია) სახლში“.

ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, „**იაკობიძე** ადგილობრივი გვარია. მკვიდრობენ ხულოს სოფელ ურტაში. იაკობიძეთა ოფლებია: **ღადაროფლი; მოლა იბრამოფლი** (მოლა ჰყვანდენ); **კობეროფლი; იუსტა მემიფლი**“.

იაკობიძეების შესახებ ყველაზე ადრინდელი ცნობა თარიღდება 1433 წლით. ისტორიული არგვეთის სათავადოთა შორის ყველაზე დიდი და ძლიერი აბაშიძეთა სათავადოს ყმათა სიაში გვხვდება (პალ, 1993, გვ. 394; ო. სოსელია, 1973, გვ. 158; დოკუმენტები, 1959, გვ. 102, 104). ებონიმური წარმოშობის გვარ იაკობიძის იმერეთში მრავლად მკვიდრობა საქართველოს ორ სხვადასხვა თემში სხვადასხვა დროს გვარსახელის დამოუკიდებლად წარმოქმნის მაგალითი უნდა იყოს. იაკობიძეთა აჭარიდან მიგრაციის შესახებ გ. ბოჭორიძეც აღნიშნავდა. ადიგენის რაიონის სოფელ კიკიბოს მკვიდრი იაკობაძეები აჭარიდან გადასახლებულები არიან (გ. ბოჭორიძე, 1992, გვ. 137).

გადმოცემით, „**სურმანიძეთა** დიდი დედის დედე ამოსულა ბაღდათიდან. სურმანიძეებს ერთი ოფლი აქვთ — **სუნან ოფლი**. სურმანიძეების ძირითადი საცხოვრისია ხოლოს რაიონის სოფელი იაკობიძეები“.

გვარი სურმანიძე განსახლებულია ქედის რაიონის სოფელ საღორეთში (ალ. ღლონტი, 1986, გვ. 151). ნაწარმოებია საკუთარი სახელიდან **სურმანი** < სულეიმან/სულმან/სურმან/სურმა (პ. ცხადაია, 2000, გვ. 129).

სოფელ თხილვანაში **გუნდაძეების** 30 კომლია. ქედისა და შუახვეის რაიონებში არსებული სოფელ გუნდაურის ამოსავალი არის ებონიმი **გუნდარი** (< gunda-ურ-ი). გუნდაურის მკვიდრობის დამადასტურებელია „ტბეთის სულთა მატინეში“ მოხსენიებული ორმაგსუფიქსიანი გვარები - გუნდარეთი და გუნდარიძე (მატიანე, 1977, 123, 331, 405). გუნდაძეთა გვარის კვლევისას დასტურდება, რომ გამაჰმადიანების მიუხედავად აჭარის ქართველობაში გვარი ნათესავებს შორის ქორწინების წესის აკრძალვის უმთავრეს გარანტიად რჩებოდა: „შუახვეის

⁵ ლეგენდა მოგვითხრობს: „ღღევანდელ ბეშუმში, სადაც დღეს იაილები გვაქვს, მოსულა რუსი, პროფესიით ექიმი. ბალახებიდან წამლებს ამზადებდა თურმე. ყოფილა აქურობა ძალიან მშვიდი. უჩხუბია და დაურქმევიათ „ბეზ შუმი“.

⁶ ასლან დედეს ადგილი - მემიშოლლების ტოპონიმი.

სოფელ გუნდაურიდან გაყოფის შემდეგ მოსულა თხილვანაში⁶ ორი ძმა **მამო** და **მემო** (>**მემიშოდლები**). მამო **მამულაძედ/მამულაძე** (-ულ-ა აქ კნინობით-მოფერებითი სახელის წარმოქმნილი სუფიქსია) დაწერილა. სხვადასხვა გვარის მიუხედავად ერთმანეთთან ვნათესაობთ, საბიძაშვილობას არც შუახვევში არ ვკარგავთ. გუნდაძე მყავს ქმარიც, მაგრამ დაშორებული ვართ ხუთ თაობაზე ბევრით მეტი".

„**აბაშიძეები**, გადმოცემით, ალიბაბოშვილები ყოფილან: “ცხოვრობდა ხულოს რაიონის სოფელ ოქრუაშვილებში (მანამ იყო დუაძეები)⁷. თურქობაშიც ალიბაბოშვილები ვიყავით. სისხლი არ შეგვიცვლია, სარწმუნოება შევიცვალეთ”.

უხუცესთა გადმოცემით, **ტარიელაძეების** წინაპარი ჭვანიდანაა საცხოვრებლად გადმოსული დიდაჭარაში. „რუსებს რომ აღუწერიან, გვარებიც მათი სურვილისამებრ მიუნიჭებინან. როცა სოფელი თურქეთის ხელში აღმოჩნდა, მიიღო **ჭალვაჯოღლი**. შემდეგ ტარიელაძე **ტელანთით** შევიცვალეთ. დღესაც ყველა **ტელანთის** იტყვის. უფრო გვიან წულუკიძით შეგვიცვალენ და დღემდე ამ გვარით ვაგრძელებთ ცხოვრებას. „XIX საუკუნის დასაწყისამდე ამ გვარს ტრაგიკული სენი გადაუტანია. ერთადერთი ვაჟი **ჯალაბინთს** (ბოლქვაძე) გაუზრდიან და ჩამქრალი კერია ასე გაღვივებულა“. **ჩაფანიენთი** (**ჩაფა** ადამიანის საკუთარი სახელია (ალ. ლლონტი, 1986, გვ. 223) და **ყინალიენთიც** (წითური ფერის გამო) წულუკიძეა.

ეთნოგრაფიული მასალა: „იმერეთის წულუკიძეები აჭარლები არიან“; „რომანაძეთა გვარის ძველი რომან წულუკიძე უკმაყოფილების გამო წამოსულა ხონიდან. პირველად დასახლებულან ხინოში, შემდეგ გადმოსულა აჭყვისთავში. აქედან განსახლდნენ დანარჩენ აჭარაში”.

თხილვანაში ცხოვრობდნენ: შუახვევიდან გადმოსული **დავითაძეები** (2 ოჯახი)⁸, **აბულაძეები** (ალმედან)⁹, **ლომსიანიძე** (სკვანიდან), **ჯაიანი** (2 ოჯახი სკვანიდან).

მეცნიერები ეპონიმ **ლომსიანთან** აკავშირებენ მთიანი აჭარის ოიკონიმს **ლომსიანიძეები** და ლიკანისა და დღვაშირის ხევის სოფელ **ლომსიათუბანს**. ლომსიანიძეები (<**ლომსიანი**) ბაღდათში მიგრირებული არიან ზემო ქართლიდან (მესხეთი, 2000, გვ. 48; რ. თოფჩიშვილი 1997, გვ. 26; დ. შავიანიძე, 2007).

ჯაიანების თავდაპირველი სამკვიდრო სამეგრელოა. ჯაიანთა სათავადო XV საუკუნის დამლევს უნდა ჩამოყალიბებულიყო. XVII საუკუნეში ვინმე შაქარ ჯაიანის ხუთი შვილიდან ერთი ძმის შვილი „ახუთიდან წავიდა და მიენდო ფოთის ფაშას. შემდეგ გადავიდნენ ლაზეთში, რომლის შთამომავალნი ახლაც ცხოვრობენ გონიოში, ატარებენ ჯაიანის გვარს, იწოდებიან ალეზად“ (ო. სოსელია, 1973, 284, 296).

⁷ ოქრუაშვილებში ცხოვრობენ აგრეთვე: შავაძეები, კოჩალიძეები, ცეცხლაძეები, აბულაძეები.

⁸ მიგრირებულია სამეგრელოში; სოფ. ლესიჭინეში მოსახლეობს 6 კომლი.

⁹ იმერეთს, ბაღდათს მრავლად მკვიდრი აბულაძეები ზემო ქართლიდან არიან მიგრირებულნი (მსჯელობისათვის იხ. დ. შავიანიძე, 2007).

დამოწმებული ლიტერატურა

- გ. ბედოშვილი, 1991 - გ. ბედოშვილი, ანთროპონიმული დაკვირვებანი, ეტიმოლოგიური ძიებანი, III, თბ., 1991.
- გ. ბოჭორიძე, 1992 - გ. ბოჭორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992.
- რ. თოფჩიშვილი, 1997 - რ. თოფჩიშვილი, როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები, თბ., 1997.
- დოკუმენტები, 1959 - ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდის სამთავროებისა (1466-1770 წწ.), წიგნი I, თბ., 1959.
- მ. კეზევაძე, 2004 - მ. კეზევაძე, ქართული გვარსახელები იმერეთში, ქუთაისი, 2004.
- პალ - პირთა ანოტირებული ლექსიკონი, თბ., ტ. I - 1991; ტ. II - 1993; ტ. IV - 2007.
- ი. მაისურაძე, 1990 - ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები, თბ., 1990.
- ო. სოსელია, 1973 - ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, თბ., 1973.
- ი. სიხარულიძე, 1958 - ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, წიგნი I, თბ., 1958.
- სიძველენი, 1909 - საქართველოს სიძველენი, ტ. II, ექვთიმე თაყაიშვილის რედაქციით, 1909.
- მატიანე, 1977 - ტბეთის სულთა მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თინა ენუქიძემ, თბ., 1977.
- შ. ფუტყარაძე, 1993 - შ. ფუტყარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.
- ქართლის ცხოვრება, 1959 - ქართლის ცხოვრება, თბ., ტ. II - 1959; ტ. IV - 1963.
- ქსდ - ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970.
- ალ. ლლონტი, 1984 - ალ. ლლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984.
- ალ. ლლონტი, 1986 - ალ. ლლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986.
- დ. შავიანიძე, 2007 - დ. შავიანიძე, ქართული გვარსახელები (ბაღდათის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით), ქუთაისი, 2007.
- პ. ცხადაია, 2000 - პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი საქართველოში, თბ., 2000.
- ზ. ჭიჭინაძე, ქართველთა გამუსლიმება.

DAVID SHAVIANIDZE

GEORGIAN FAMILY-NAMES

(On the example of ethnographic materials of some upper-Acharan villages)

Earlier or more modern political histories have left their traces on the formation of family-names but the mentality of the people with relation to the function of family-names has remained unchanged.

The study of family names of some upper-Acharan villages attests the cases of formation of family names independently. Acharan Georgians would move to different regions of Georgia to maintain their Christian faith. There are also facts of their relocation within the Achara region.

To denote the ancestral family-names they used “ganarigi/gamrigo” and ‘jishi’, based on the name of the ancestor.

They also followed common Georgian tradition of forming woman family names.

Those Georgians of Didachara who had been converted to Moslem faith avoided mixing with Turkish communities and continued to make their journeys to holy Christian places for praying and worshiping.

There are also evidences of traditions of living in large extended families. The type of abode was called “cherebiani” (*cheri* means log).

The material is also interesting for the study of Acharan dialect.